№ 68 18 თიბათვე, ოთხშაბათი 1866—1875 18 თიბათვე, ოთხშაბათი № 68

**რედაქცია**
მოლნინის (აბას-აბატის) მაედანზე, ყორღანოვის სახლებში.

**ხელის-მოწერა**
რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".

**გაზეთის ფასი**
წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში—4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.
ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

**განცხადება**
მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

**განცხადების ფასი**
დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ., პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებს.
დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

## ნახევარი წლის ხელის-მოწერა „დროებაზე"

შეიძლება: ტფილისში, რედაქციის კანტორაში (ადრესი გაზეთის სათაურში ნახეთ) და გარეშე ქალაქებში—„დროების" აგენტებთან.

ფასი ნახევარი წლის გაზეთისა (ე. ი. 1 ივლისიდამ ვიდრე 1876 წლის 1 იანვრამდი) გაგზავნით და გაუგზავნელად—4 მან. და 50 კაპ.

## საქართველო

### ვაჭარი და სოფლის გლეხი *)

—

დადგა გაზაფხული და მოვიდა თიბათვე—მკათათვეც.

ემატება ყანებს თავთავი და ვენახების ყურძენი. ემატებათ ვაჭრებს სიმდიდრე და გლეხებს სილარიბე; ემატებათ ვაჭრებს სიხარული და გლეხებს ოხვრა-მწუხარება!

მაგრამ იქნება მკითხოთ: „ვაჭრებს სიმდიდრე და სიხარული ეხლა სიდამ ემატებათო, მაშინ როდესაც ყველაზედ ნაკლები ვაჭრობა ეხლა აქვთ, და მგლოვიარეებისავით ამ დროსა სხედანო? და ან გლეხებს სილარიბე და მწუხარება ეხლა სიდამ ემატებათო, მაშინ როდესაც ყანები თავთავებს ეხლა მატულობენო, ვენახს ყურძენი ეხლა შემოაქვსო და თითქმის მთელის წლის დალევრილის ოფლით ეხლა უნდა ისარგებლონო, და რასაკვირველია, სიხარულშიაც ეხლა უფრო უნდა იყვნენო"?

თუ დავაკვირდებით ჩვენი ვაჭრებისა და გლეხების მდგომარეობას, თუ წარმოიდგენთ ჩვენებურ ვაჭრობის ვითარებას, მაშინ, იმედია, დამეთანხმებით, რომ თქვენ შემცდარი ხართ.

ორიოდე სიტყვით მოვილაპარაკოთ ამ საგნებზე.

ბევრჯელ შემდეგი სიტყვები გამიგონია ჩვენში: „ეს ოხერი ჩვენ ჩვენს დღეში, დღე და ღამეს შრომაში ვათენებთ; ჩვენ კი ვერა ვიშოვეთრა ვალების მეტი, და ზოგიერთა ვაჭრები კი ჩვენში ესე უცბათ საიდამა მდიდრდებიან და საღ შოულობენ იმდენს, რომ თავიანთს შინაურულს ხარჯსაც ჰფარვენო, სხვა და სხვა ალაგებშიაც სწირვენო, მამულებსაც იძენენო და საშვილის-შვილოთაც ნაღდს საკმაოდა სტოვებენო?! თითქო სწავლა და განათლება დიდი არა აქვთ რაო და საიდან სთხრიანო? ნუ თუ სულ თავიანთი მშობლებისაგან რჩებათ ფული და შეძლებაო?!"

ამ სიტყვების მკითხველსაც და თქვენც ამას გეტყვით, რომ ამათ თავიანთის სიმდიდრის დასაწყისის თანხად დიდი განათლება და სწავლა არ სჭირდებათ; მხოლოდ, ფულის და განათლების მაგივრად, აქვთ ისეთი ზნეობითი ხასიათები: გულის სიგრილე, შეუბრალებლობა, ტყვილი ფიცი და ხშირად სინიდისზე ხელის აღება, რომელნიც ყველაზე უფრო ეხმარებიან იმათ ამ საქმეში. ამ ნაირს ზნეობით ხასიათებს ემსახურებიან მუყაითად, საცა რა უჯობთ, იმას იქ ხმარობენ და დაუცხრომელის მეცადინეობით მოჰყავთ თავიანთი წადილი სისრულეში.

ამათი სიმდიდრე იწყობა პირველად, როგორც ზემოთა ვსთქვი, გაუნათლებელი ხალხისაგანა, და რადგანაც ეს გაუნათლებელნი და უსწავლელნი, განათლებულს და გამოცდილს ხალხში ვერას გაარიგებენ, ამიტომ პირველად ესენი აწვებიან უმეცარს ხალხს, ე. ი. სოფლის გლეხებს.

პირველად არაფრის მქონენი, იშოვიან სადმე როგორმე ან ნისიათ და ან სხვანაირის გზით, რამდენიმე ჩითს, ამერიკას, თავშლებს და სხვა სოფელში გასასაღებელ ნივთებს. დაატარებენ სოფლებში კარის-კარ, მიდიან გლეხთან, გაიცნობენ, გაუხარხარ-გამოუხარხარებენ, პირში ქებას შეასხმენ, თავს მოიკატუნებენ, გაუგორდ-გამოუგორდებიან, დაასვენდისებენ და მიაკრამენ ერთი-ორ ფასად რამდენსამე ყალბს ფართალს ნისიათ კალოობამდისინ. ახლა, რაკი სოფელს გაიცნობენ, შემდეგ რომელიმე გლეხის ოჯახსაც პატარა სუქნად დაინახამენ, იქ ნათლიათ მოეკიდებიან, აქ მეგობრად და ან ქოჩაგად გაუხდებიან და ამ ნაირის ოსტატობით ზოგისაგან ქათმებ ნაფეშქაშებნი, ზოგისაგან კარაქ, მაწონ, კვერცხებ ნაფეშქაშენი, დაბარგულის ცხენებით დაბრუნდებიან თავიანთს სახლებში. — რასაკვირველია, ამეებს განაღდებენ და კიდევ ამნაირის ოსტატობებით მიხვეტ-მოხვეტენ სადმე რასმეს, მოიფოქლავებენ ცოტაოდენ ფულებს და ცოტა ხნის შემდეგ გაიღებენ ჯერ პაწაწა დუქანს და დაიწყებენ ვაჭრობას ბინადრად.

როგორ უვარდებათ ახლა კიდევ ამათ ის უმეცარი გლეხები ხელში და რა გზები აღატაკებენ? — მაგის ასახსნელადაც მოვიყვან ამათ ათას ნაირს ოსტატური ხასიათებისაგან მხოლოდ ერთს ან ორს მაგალითს მინუშად.

გლეხს ან მოუკვდება ვინმე, ან დააქორწილებს ვისმეს და ან ხარჯს შეაწერენ, რასაკვირველია, ადრევე ამათთანავე ვაჭრებისაგან გაღატაკებული და გაფურცქვნილს გლეხს ხომ გასასყიდელი აღარა ექნება რა, რომ იმითი მოიშოროს ეს აუცილებელი საჭიროება.

მეტი გზა აღ რა აქვს, ადგება, წამოვა და მოადგება დუქანზედ ამ თავის ნათლიას ან მეგობარს ვაჭარს; ვაჭარს, რომელსაც კალოობას და სოფელში ვაჭრობის დროს ორ-სამ კვირაობით თავის ხარჯით თავის ოჯახში ინახავდა, რომელსაც მხედრს გარდა, რამდენიმე ჩანახ ჰქირნახულს მეტს დაუთმობდა ხოლმე და რომლისაგანაც წინათვე ყველა შემწეობის დაიმედებული იყო. მივა, მიადგება მოწიწებით დუქანზედ. აუხსნის თავის გაჭირებულ მდგომარეობას. ბევრის ღიჯინისა და ოსტატური მოქცევის შემდეგ, ვაჭარი ასესხებს ერთ-ორ თუმანს იმ პირობით, რომ თუმანში ორი კოდი წმინდა პური სარგებლით კალოობამდისინ მისცეს. (კოდი 8. ჩანახია, ე. ი. 4. ფუთი.)

*) მით უფრო მომეტებულის სიამოვნებით ვბეჭდავთ ამ სტატიას, რომ ის თვითონ ვაჭრის კალამს ეკუთვნის. ვაჭარს ვაჭრებზე და ვაჭრობაზე ლაპარაკი დაეჯერება, რადგან ესენი იმას კარგათ ეყოლება გაცნობილი.

ამასთანავე ნურავინ იფიქრებს, ეს სტატია ჰკიცხავდეს მთელს ვაჭრების საზოგადოებას. სრულებით არა; ის შეეხება მხოლოთ იმ ზოგიერთ აღებ-მიმცემებს, რომელნიც არ ზოგვენ არა რა ღონის-ძიებას თავიანთი სარგებლობის შეძენისათვის.

რედ.

## ფელეტონი

### ცხელ-ცხელი ამბები

—

სამი რამ აშვენებს კაცს: მარილიანი სიცილი, ტკბილი ხმა და მოხდენილი სიარული. ამაებს მე სამივეს მოკლებული ვარ...

სამი რამ ამხიარულებს კაცს: საიდუმლო ტრფიალი, მოვალეების გასტუმრება და მონობიდამ თავის გამოხსნა. ასეები ჯერ მე არც ერთი არ მღირსებია!!.

სამი რამ სჩაგრავს კაცს: პირველს ვერ ვიტყვი, მეორეს არ მათქმევინებენ და მესამეს ვერ გავბედავ... სსსუო! სსუუო! და სსუუო!!!

და მაშ რაღა არის ეს ჩემი სიცოცხლე?—მიკვირს! ან აქამდე როგორ გავსძელი? მაგრამ გაკერპებული იმედი ისე შემტკიცებია ამ ჩემ გლახგულს, რომ საფლავშიც კი უპირებს ჩაყოლას; ვერც ჭაღარით მომიშორებია და ვერც ნიკრისის ქარებით გამიდენია. მაგრამ იმედი ხომ მისი წარმოდგენაა, რაც ცხადათ გვაკლია?..

დიახ, თავის მოტყუებაა?.. და მაშ რაღა სიცოცხლეა? „ვის" მაედანზედ გავსულვარ და „უის" ტახტზედ ვზივარ. არა, არა; ისევ სიკვდილი სჯობს... უნდა დავილჩო თავი; მაგრამ, დალახვროს ღმერთმა, არ კი აქაც ხელი მეშლება: მტკვარი ამღვრეულია და გამჩირქიანებს; ზღვა მარილიანია და თვალებს დამწვავს! ველარ ვახერხებ თავის დახრჩობას!....

არავინ იცით სხვა საშუალობა რამ, რომ მირჩიოთ და ამ სოფელს მომაშოროთ როგორმე?!...

უჰ! უჰ! ღმერთო ჩემო! რამდენი მეგობრები მყოლია და მე კი აქამდე არა მცოდნია!... ყოველის მხრით ათასობით მეგობრულად მირჩევენ და მასწავლიან სხვა და სხვა საშუალებას. ყოვლის უსასყიდლოთ მზათ არიან, რომ მეგობრულად მემსახურონ ამ შემთხვევაში. აი, პატიოსანი კაცები!..

მე რაღა მეთქმის? ღმერთმა გადაგიხადოთ, ჩემო მეგობრებო, სამაგიერო. ბევრი გზა მიჩვენეთ თავის მოსაკლავაც; მაგრამ ვაი, რომ ვერც ამაებით ვსარგებლობ: სულ სხვა და სხვა საშუალობაებს მირჩევენ; ერთის თუ დავიჯერე, სხვებს ხომ გული დასწყდებათ? და რომ არცერთს არ ვაწყენიო, ისევ ასე დავრჩები: არ მოვიკლავ თავს!

რა გაეწყობა!! სჩანს არა ვყოფილვარ ღირსი და უნდა ვეხეტიალო აქეთ-იქით დღეის იქითაც!..

მაგრამ ხელობა რა ავარჩიო მისთანა, რომ გულს გადამყაროს? — მგონი ვერაფერი!. ჰე, ისევ ისა სჯობს, რომ ვიარო ამ წუთის სოფელში, ვათვალიერო ხალხი. და რაც შევნიშნო, დავიყვირო სახალხოთ.

პირველათ კი ჩემი თავიდამ უნდა დავიწყო, დაუზოგავათ უნდა შევამკო და მერე თუ სხვებზედაც რამ წამცდეს, ნუ რას უკაცრავად!

ჰე, გამოვსულვარ, და ვინც პირველი შემხვდება, იმას მივმართავ!

აი, შემხვდა პირველათ ვირი... მე აქ მართლა ვირზედ მოგახსენებთ, სახედარზედ,—ხუმრობათ არ ჩამომართვათ!. ვხედავ, მოდის ნელა-ნელა, ფილოსოფურად და მეც მსურს რამოდენიმე სიტყვა მოვახსენო ამ პატიოსან ქმნილებას:

გლეხი დიდის მადლობით ართმევს ფულს და აძლევს სესხის ქაღალდს.

ახლა მოვა კალოობა თუ არა, მიდიან ეს გამსესხებლები თავიანთ მოვალე გლეხებთან და მიიტანებენ კანონიერ (20. გირვანქიან) ჩანახის მაგიერ 22-იან—23-იან ან 27 გირვანქიანს. გლეხი, რადგანაც სულით და გულით ენდობა ამ თავის ნათლიას ანუ მეგობარს, რას იფიქრებს, თუ ეს ჩანახი ჩვეულებრივ ჩანახზედ დიდია; ან თუ იფიქროს, კიდეც, საიდან გაიგებს იმის სიდიდეს? ისეთ ნაირათ ოსტატურათაა გაკეთებული, (მუცელშია გაგანიერებული და სიმაღლე კი ისევ კანონიერი ჩანახის ოდენა აქვს,) რომ ეს უმეცარი ისე ადვილად ვერას შეატყობს; და თუ გინდ კიდეც შეატყოს, მაინც ვერას გაუბედავს ამიტომ, რომ ჯერ ნათლიაობით ეხათრება და მერე იმისიც ეშინიან, რომ, გავამხილო ვაი თუ ეწყინოსო და საკვლავოთ აღარ გამიმართოს ხელიო. ამ მიზეზების გამო, ანებებს ყველა ამ ეჭვებს თავს, და მიენდობა ვაჭრის სვინიდისს, იმის ნათელ-მირონობას და ან იმის დიდს მეგობრობას.

მიდიან კალოზედ აგროვებულ ხორბლის ხვავთან, და დაიწყებენ იმ თავიანთ სარგებელში ქირნახულის რწყვას. მაგრამ ნეტავი იცოდეთ— როგორის სვინიდისით და სიმართლით ირწყვენ? მიუჩოქებენ ამ ხორბლის ხვავს, ჩასდგამენ ამ უზარ-მაზარ ჩანახს ამ ხვავში, გაამსებენ, მოუდგამენ გუმბათივით თავს კარგად, მი- [illegible] ჩანახთან, შემოჰხვევენ ამ ჩანახს გარშემო, ხორბლით სავსე მუჭა მკლავებს, ასწევენ, აატანინებენ თან ჩანახს გარდა ორს-სამს გირვანქამდინ ამ მუჭა მკლავებსაც და ჩააგდებენ უცფათ ტომარაში და ჩაჰბერტყავს შიგვე ხელებს კარგადა. ესრე განაგრძელებენ მეორეთ და მესამეთაც მანამდისინ, სანამ შეისრულებდენ თავიანთს სათვალავს. შემდეგ დააყრიან ტომარას კიდევ ერთს ჩანახს მეტსა; ამას ეძახიან „სანაკმაზეს“.—ეს დებულებასავით არის და ხომ უარს ვერ ეტყვიან.

ინგარიშეთ—თუ პირობით თუმანზედ ორ კოდს სარგებელს გარდა, კიდევ რამდენს მომეტებულს სტყუებენ ამ უმეცარ მიწის მხვნელებსა? თუმანში ორი კოდის სარგებლის მაგიერ ამ უკანონო სარწყაო ჩანახის შემწეობით და უსვინიდისოთ მუჭა მკლავების ხვეტით სამ კოდამდისინ ართმევენ, ე. ი. 12 ფუთამდინ, რომელიც საშუალის ანგარიშით 13 მანეთისას შეადგენს! ანუ უკეთ ვსთქვათ, თუმანში 13 მანეთს სარგებელს ართმევენ და თავნს კი ისევ სასარგებლოთ ვალად უნარჩუნებენ.

რასაკვირველია, ერთმა და ორმა რომ ასე აითავა ფული, ეს ამისი ნუგეში და იმედი ქირნახული—მესამესთვის და მეოთხესთვის აღარა აქვს, რომ მისცეს; აიღებენ ფულის პატრონები, სარგებელს თავნათ შეუსმენ, სარგებლის სარგებელს პირობაში ჩაუწერენ (ამას უპირო კაცად ჩასთვლიან, რადგანაც ამ წელს ამას ველარ მისცა) და წავლენ.

გამოესალმება ცარიელ კალოს საწყალი გლეხი, მივა დაღალული დაქანცული და პირშერცხვენილი მიწვება ბზის ხროვაზედ, გაუშტერდება თვალები და ხელის-გულ ძგერით ფიქრობს: „ტიალო, მოსავალი ხომ კარგი იყო წელსა, კალოზედაც ვებერთელა ხვავი შედგა, და რა დაემართა?! რავიცი, რავქნა, ნათლიმამამ ხომ სათვალავში არ შემაცდინა? მაგრამ არა: მართალია, თუმცა იმაზედ ამნაირს რამეებს ბევრს ლაპარაკობენ ხოლმე, მაგრამ მე რათ მიზამდა, შვილის მომნათლავია. ჩემი ოჯახი ისე უყვარს, ასე გაშინჯე რომ ჩემს ცოლს თავშლებიც უფეშქაშა, სურამიდამ ხორციც ამოგვიტანა. არა, არა არ მიზამდა!“ და ამნაირ ათასს ოხვრა ფიქრებში მიეძინება.

იმას კი ვერ მიმხვდარა ეს უბედური თუ შვილს იმიტომ უნათლავს, რომ ბინა იქ ჰქონდეს ხოლმე იქ ყოფნის დროს. სამშაურიანი ბამბის თავშალი იმიტომ მიართვა და თითონ ამასაც ტკბილის სიტყვებით იმიტომ ემუსაიფა, რომ ქირნახულის არწყვაში ნდობოდნენ და ჩინჩი არ დეეწყოთ; და თუ ერთი ლიტრა ხორცი მიიტანა იმის ოჯახში, — ის თითონაც უნდა ეჭამა; იმას კი ვერ ანგარიშობს, რომ თითონ დედალს მოუხარშავს, ვარიებს, დაუტაბაკებს, და ნალებ რძეს და კვერცხებს სახლშიაც გაატანს!!

თქვენს მტერს გეღვიძოს ისე მარდად და მხიარულის სახით, როგორც ამ გლეხს გაეღვიძება.—მამოეღვიძება და ნელ-ნელა თვალების ფშვნეტით, მძიმეთ, ზლაზნით, უფერულის და ულიმილოს სახით ძლივს წამოდგება ზეზედ; ხან აქეთ მიეხეტება, ხან იქით და—დიდის ხნის შემდეგ, გულიანათ ძლივსღა დაადგება თავის სამუშაო საქმეზედ.

აი, ეს გარემოებები რომ თვალ წინ მიდგია, ამიტომ ვამბობ სიბრალულის სიტყვებით, სოფლის გლეხების ამდროს უმეტესს მწუხარებას. და ამათს სიღარიბის დასაწყის თვეებთან ამიტომ ვთვლი თიბათვ-კათათვესა.. ამის შემდეგ კიდევ ამბობენ, რომ ქართველი კაცი ზარმაცია, მუშაობა არ უყვარს და იმიტომ არის ღარიბიო!?...

ს. ც.

(დასასრული შემდეგ №-ში)

## დღიური

□ განკარგულება გამოვიდა შინაგანი საქმეების მინისტრისა, რომლის ძალითაც ხვალინდელი დღიდამ, ე. ი. თიბათვის 19-დამ შემდეგი ცვლილება მოხდება ფოჩტის კანონებში:

ა) უბრალო დაბეჭდილი წიგნის გაგზავნა—როგორც შინაგან (რუსეთის) გუბერნიებში, აგრეთვე სამზღვარ გარეთ, ეღირება 8 კაპეიკათ თითო ლოტი, თუ ფულებს გაგზავნისა თანავე მისცემ, და თუ არა წიგნის მიმღებმა ერთი-ორათ უნდა მისცეს (თითო ლოთში [32 მისხალში] ე. ი. 16 კაპეიკი).

ბ) ღია წიგნის გაგზავნა 4 კაპეიკად ეღირება—როგორც რუსეთში, აგრეთვე საზღვარ გარეთაც, მხოლოთ იმ პირობით, რომ სამზღვარ გარეთ გასაგზავნ წიგნში ფული გაგზავნისა თანავე უნდა მიეცეს ფოჩტას.

გ) ბანდეროლით გაგზავნა 4 ლოტის სიმძიმისა 2 კაპეიკათ ეღირება რუსეთში და სამზღვარ გარეთაც.

დ) წიგნებისა და განცხადებების მოტანისათვის ფოჩტალიონისთვის რომ ადრე 3 კაპეიკის გადახდა იყო დადებული, ახლა ეს მოისპობა.

□ ჩვენ შევიტყეთ, რომ სამზღვარს გარეთიდამ ახლად დაბრუნებული უფ. ივანე მესხი ქუთაისში პანსიონის გახსნას აპირებს. როგორც გაგვიგია, ამ ჟამად ქუთაისში სამი თუ ოთხი სხვა და სხვა პანსიონია, მაგრამ ვერც ერთი ვერ აკმაყოფილებს თურმე რიგიანათ თავის დანიშნულებას, და ამის გამო სანატრელია, რომ ერთი ხეირიანი პანსიონი მაინც დაარსდეს.

□ გურიიდამ ერთს საზარელ ამბავს გვწერენ:

ამას წინათ ერთი ქალი ტყვეთ გაუყვანიათ სათათრეთში; მაგრამ ტყეს იმდენი უმეცადინია, რომ ბაილოზთან მისულა იქ და თავის ვინაობა და თავს-გადასავალი გამოუცხადებია. „გამყიდველები, ჩვენდა საუბედუროთო, ჩვენები არიანო“, გვწერს კორრესპონდენტი, და ამის თაობაზე ერთი გურული თავის დედით ოზურგეთში არიან დაჭერილიო და საქმეს იხილავენო.

□ ქალაქში ლაპარაკობენ, რომ ქალაქის გამგეობის თავის მოადგილე, უფ. ელიმირზოევი, რომელიც უპრავის წევრია, რაღაც მიზეზების გამო, სამსახურიდამ გამოდისო.

□ აქაურს საზაფხულო თეატრში წარმოდგენა იქნება ამ დღეებში ახლად კურს-დასრულებულის ორის ახალგაზდა ყმაწვილის სასარგებლოთ, რომელთაც უმაღლესი სწავლის მისაღებათ რუსეთში წასვლა ჰსურთ.

---

„დროების“ რედაქცია სთხოვს იმ პირთა, რომელთაც გაგზავნილი ჰქონდათ გასასყიდათ „დ რ ო ე ბ ი ს კ ა ლ ე ნ დ ა რ ი,“ გაყიდვისაგან შემოსული ფული მალე გამოუგზავნონ უ. ვართანოვის წიგნის მაღაზიაში ან თვითონ რედაქციაში.

---

### ს ი ტ ყ ვ ა

—

„ჰი, შენ პატიოსანო ვირო! იაფო და ხშირო! საწყლე-სანახშირეო!.. ნეტავი შენ, რომ ბუნებას მანგრე შეუმკიხარ: ფეხები პატარა გაქვს; მაგრამ დიდ ფეხიანებზედ კი უფრო სწორა დადიხარ! ყურები დიდი გაქვს; მაგრამ პატარა ყურებიანებზედ კი უფრო ნაკლებ უგდებ ყურს ათას-გვარ ჭორებსა და მავნებელ-სიტყვაობას. ხმა მაღალი გაქვს, მაგრამ ხშირად კი მაინც არ ჰყვირი, მაშინ როდესაც უფრო მდაბალ ხმიანებისაგან ყურთასმენა აღარა გვაქვს. დარწმუნდით, უ. ვირო, რომ თქვენსავით მაღალი ხმა ზოგიერთსა ჰქონდეს, სხვა და სხვა გვარ რჩევა-ბაასობის დროს, მეორეთ მოსვლის საყვირს დასცემდენ...

„და რაც შეეხება შრომას, ვხედავ, რომ მოცალეობაც არა გაქვს!.. მე კი უსაქმურად აქეთ-იქით დავეხეტები.

„ეჰ, რაღა ბევრი ვილაპარაკო: მე შენ ვერ მოგწვდები, უნდა შენ წინ თითი მოვიკაკვო. აწ კი მშვიდობით.“

აი, შემხვდა კიდევ მეორე ცხოველი: ძაღლი!.

დალახვროს ღმერთმა: რაღა ზედიზედ შემეყარენ... აბა, ჩემო მკითხველო, ამ ძაღლსაც მიუბრუნდი და მეც სიტყვას ვეტყვი:

### ს ი ტ ყ ვ ა

—

„პატიოსანო ძაღლო!.. ნეტავ ვინ შეგედარება ოჯახის ერთგულებაში? ოთხი ფეხი გაქვს, მაგრამ მაინც არსად მიდიხარ და არ შორდები იმ ოჯახს, სადაც შენა ხარ, მაშინ როდესაც ორფეხები კი აღარ იცდიან: ცოლები ქრმებს ექცევიან და ქმრები ხომ, რასაკვირველია, ცოლებს!

„შენა გაქვს ბასრი კბილები, მაგრამ მაინც ისე არ იკბინები, როგორც ზოგიერთი უკბილოები!..

„და ყველაზედ უფრო მომეტებული ღირსება კი ისა გაქვს, რომ ერთგული ხარ და ბეჯითი: იმ სახლკარსა და იმ ეზოს, სადაც შენა ხარ, უვლი შეუპოვრად და უძინრად უცდი! ვერ შამოგეპარება ქურდ-ავაზაკი! ვერ ვინ მოგატყუებს და ვერავინ მიგიბირავს! რა გინდ ძლიერიც იყოს, შენ მაინც ყეფას არ მოუშლი ხოლმე!!

„პატივი და დიდება შენ, ჩემო უ. ძაღლო!... მე კი შენზედ უფრო სუსტი ვარ და უხასიათო: თუმცა ბევრსა ვხედავ ქურდ-ავაზაკსა, მაგრამ არა თუ კბენას, შეყეფასაც ვერა ვჰბედავ. არა, არა; მე შენზედ სუსტი ვარ და შენ წინ მოვიკაკვავ თითს, ჩემო მურავ“!.

ვიცი, ზოგიერთი ამხანაგები მიწყენენ, თუ რათ ვედარები ვირსა და ძაღლსა; მაგრამ იმათ რა ენაღვლებათ: მე მხოლოდ ჩემს თავზედ ვამბობ, რომ როგორც ძაღლს ისე ვირსაც ჩამოვრჩები, და ისინი კი ჩემსავით გლახები არ არიან: ისინი ვირზედაც უაღრესები არიან და ძაღლზედაც უმაღლესები.. ძლიერები არიან, სუსტი მხოლოდ მე ვარ და ჩემს თავზედ ვამბობ!.. ვის რა დავა აქვს...

რომ შევადაროთ ეს ორი ზემომოყვანილი პირუტყვი იმ ....... ჰმ.. კინაღამ არ გავჰყარყუმდი!!!... ბევრს არ იამებოდა?! ტფუი! ტფუ! ტფუ!... ეშმაკს თვალს არ უჩანს!!...

—

აკაკი

## „დროების“ კორრესპონდენცია

შორაპნის მაზრიდამ, თიბათვის 5-ს

ამას წინათ მიამბო ერთმა მამასახლისმა, რომ გუშინას წინ კანცელარიაში ჩვენმა მღვდელმა გამოიარა, და შორაპნის მაზრის კანცელარიებში უწესოება შენიშნაო.

არათუ მარტო აქ ამ მაზრაში ბევრგან იმერეთში სოფლის სასამართლოში ესეთი უწესოება არის; სამართალს კაცი ვერ ეღირსება. ვსთქვათ კაცმა საჩივარი შაიტანა ვისმეზედ, ვიდას არ დაუნიშვნენ, მიელენ მომჩივრები, დაეყრებიან კანცელარიაში, უყურებენ დღეს, ხვალ და ზეგ; მაგრამ სამართალი არსად არ არის; სამუშაო დღეები უცდებათ...

ერთს კანცელარიაში შემდეგ შემთხვევას დავესწარ: კაცი ეხვეწება საქმის გარიგებას მოსამართლეებს; ერთი მოსამართლეთაგანი მიუბრუნდა და უთხრა:—რა ეშმაკი დაგემართა, შეგვჭამე რაღა; აღარა ვართ შენგან! ყოველ დღეს მოდიხარ და გვაწუხებ.—აბა, რა ვქნა, სამართალი აღარ მაღირსეთ და რომ არ მოვიდე, მაშინ უფრო მოკლებული ვიქნებიო, უთხრა საბრალო მომჩივანმა. მოუვიდა, გული მოსამართლეს და უთხრა: „პაშოლ სვინია დურაკ! მინამ ჩემს ჯინს არ ვაჯობინებ შენსას, არ იქნება, რომ სამართალი გეღირსოსო და როცა გვსურს, მაშინ გავაკეთებთ მაგ საქმესო!...

ბოლოს ამასაც ვიტყვი, რომ ხელშიაც ძრიელ უყურებენ მოსამართლეები მომჩივრებს და რომელიც წინ მისცემს.... სამართალიც იმისია. ამისთანა საჩივრები სოფლის სასამართლოებზედ არა ერთ გზის არის აღწერილი „დროების“ ფურცლებში, გარნა მაზრების უფროსებზედ არა ჰქონია რა აღწერი და სოფლის სასამართლოების უმეცრება და უსამართლობა უნდა გაასწოროს კარგმა მაზრის უფროსმა. ეს არის ჩემი თხოვნა.

ამასთან ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ სოფლის შკოლების საქმე სადაც კი არსებობს აქ, გვარიანათ მიდის (?) ჯერ ჯერობით, მხოლოდ საწყლებს მასწავლებლებს დიდი შეწუხება აქვთ სოფლის მამასახლისის და მზრუნველის (პოპეჩიტლის) უყურადღებლობით, რომელნიც თავის დროზედ არც ჯამაგირს და არც სხვა მასალეების მიტანას ალირსებენ.

ასლან შიოლიშვილი

## რუსეთი

✠ პეტერბურღის ღარიბებისათვის რომ იაფი ოთახებიანი სახლია აშენებული, იმ სახლში ამ ჟამად სხვათა შორის, 250 ღარიბი ქალი ცხოვრობს თურმე. ამ მოკლე ხანში, ერთი იქაური მდიდარი ბანკირის შეწეობით, ახლა ერთს ამისთანა სახლს კიდევ აშენებენ პეტერბურღში.

✠ იმ ქალაქის მარშანსკის მცხოვრებლების სასარგებლოთ, რომელიც ამ მოკლე ხანში გადიწვა, პეტერბურღში რამდენიმე სპეკტაკლს მმართავენ რუსულს, ფრანცუზულსა და ნემეცურს ენებზე. ამას გარდა მთავრობა და თვით საზოგადოებაც დიდ შემწეობას აძლევენ და ამნაირი საშუალებით იმედი აქვთ, რომ ცოტათი მაინც შეუმსუბუქებენ იქაურ მცხოვრებლებს იმ საშინელ გაჭირებულ მდგომარეობას, რომელიც ამ ცეცხლმა მიაყენა.

✠ ტაგანროგიდამ „ოდესსის მოამბეში“ იწერებიან, რომ რამდენიმე კვირაა, რაც ჩვენკენ წვიმა არ მოსულაო და თუ ამ ერთი-ორი კვირის განმავალობაში კიდევ არ მოვიდა, მხვნელ-მთესველ ხალხს ამ წლის მოსავლის ყოველი იმედი დაეკარგებაო.

✠ აზოვის ზღვის ნავსადგურებიდამ, და განსაკუთრებით ტაგანროღიდამ საჩივარს იწერებიან რუსულს გაზეთებში, რომ ზღვის ვაჭრობა ძალიან ცუდათ მიდისო. ვეცხლის გემები ცუდათ დგანან ნავ-სადგურებშიო; რადგან ამ წელს კარგ პურის მოსავალს არ მოელიან, ამის გამო საზღვარ გარეთ ნამუშევარს ძალიან ნაკლებ ჰგზავნიანო.

## უცხო ქვეყნები

საფრანგეთი. ამჟამად ჯერ კიდევ უმაღლესი განათლების თავისუფლებაზეა სჯა ნაციონალურს კრებაში. რესპუბლიკელების მხრით ჟულ ფერრის მჭევრ-მეტყველებით სავსე სიტყვა წარმოუთქვამს კრებაში ამ საგნის თაობაზე. მალე მესამედ წაიკითხვენ და განიხილვენ კიდევ ამ ახალი კანონის პროექტს და მერე კრება თავის გადაწყვეტილებას დაადგენს.

თიბათვის 13 (!) პარიჟის სიახლოვეს, ლონშანის მინდორზე ჯარი დაუხედავთ. მარშალი მაკ-მაჰონი, დიპლომატიური კორპუსი და სხვა ბევრი წარჩინებული პირები დასწრებია ამ ჯარის დახედვას. მეორე დღეს პარიჟის ღუბერნატორს ლამირის ბრძანება გამოვიდა, რომლითაც მარშალის მაგიერად მადლობას ეუბნება ჯარს კარგათ გაწვრთნილობისა და საზოგადოთ დისციპლინისათვის. დიდ მნიშვნელობას აძლევენ უცხო ქვეყნის გაზეთები იმ გარემოებას, რომ ამ დახედვაზე მხოლოთ 50,000 კაცი ყოფილა შეკრებილი და არა მომეტებული. ეს იმას ნიშნავსო, ამბობენ, რომ საფრანგეთი სრულიად არ ემზადება ომისთვის, არ დასდევს რომ თავის ჯარის რიცხვი უჩვენოს ქვეყანას.

ესპანია. მმართებლობას დაუნიშნავს ცხრა კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც ახალი კონსტიტუციის კანონების შედგენა აქვს მინდობილი. ამ კომისიას, როგორც იწერებიან, გადაუწყვეტია, რომ ესპანიის კონსტიტუცია იმ რიგათვე უნდა შესდგეს, როგორც ბელგიის, იტალიის ან პორტუღალიის სახელმწიფო კონსტიტუციები არისო, ისეო, რომ იმან ყველა პარტიები დააკმაყოფილოსო.

დონ-ალფონსის მსგავსად, როგორც ისმის, დონ-კარლოსიც აპირებს ბისკაიაში ცალკე კონგრესის შეყრას.

ამას წინათ ერთი სახელმწიფო სახლის კურთხევის დროს, ესპანიის კოროლს დონ-ალფონსს შემდეგი სიტყვა წარმოუთქვამს:

„ჩვენი ურთი-ერთშორი ბრძოლა აბრკოლებს, საუბედუროთ, ჩვენს წარმატებას. მაგრამ მომავალზე იმედს ნუ დავკარგავთ: შევერთდეთ, ერთგულად და ერთხელათ ვიმოქმედოთ ესპანიის წარმატებისათვის; ვეცადოთ და დარწმუნებული ვიყვნეთ, რომ ესპანია მშვიდობიანობასა და კეთილ-დღეობას მოიპოებს.“

ამ სიტყვებს აღტაცებაში მოუყვანია დამსწრე ხალხი და ბევრი უყვირიათ: „გაუმარჯოს დონ ალფონსაო!“

## ქრონიკა 15

### არგონავტების საქართველოში მოსვლა

—

როცა ოტრამ დაიბანაკა ამგვარად მოწყობილი სასახლეში თავისი უძვირფასესი სტუმრები, მერმე მოართვეს სანუკვარნი ფერად-ფერადნი და დიდებულად გაუმასპინძლდა სტუმრებს.

მერმე ოტიამ ჰკითხა იაზონს მიზეზი წვევისა და როცა შეუტყო ყველაფერი, უთხრა, რომ ნებას აძლევს იმას ეძიოს ოქროს მატყლოვანი ვერძი; მაგრამ იმ პირობით, რომ იმან დახნას იმის მოყარაულე ხარები და მოჰკლას ვეშაპი.

ერთ დღეს როცა ისინი ისხდნენ სადილად, ბაასობდნენ, მხიარულებდნენ, იცინოდნენ და ხუმრობდნენ, ოტიას ასულმა მედიამ სთხოვა მამას, რომ მას ნება მიეცა ის სწავლაში შეჭიბრებოდა იაზონს. მედია რადგან ძლიერ განსწავლული იყო ასტროლოღიაში და სამეხანიკო მეცნიერებაში, ამისათვის ნება მისცა. ამის შემდეგ მედიამ და იაზონმა დაიწყეს ბაასი. მედია, კეკლუცად შემკული უძვირფასესის დარაიებითა და სამკაულითა, ძლიერ თამამად და კეკლუცად ელაპარაკებოდა იაზონს. ამ ბაასში ისინი ერთმანერთს მოეწონნენ გამოუცხადეს სიყვარული და ცოლ-ქმრობის სურვილი; მაგრამ მედია არ ენდო იაზონს და პერკულესის თავდებობით ჩამოართვა იმას უტყუვარი ცოლქმრობის სიტყვა. იმან მისცა, და მედიამაც მერმე ასწავლა, თუ რანაირად შეიძლებოდა ოქროს მატყლოვანის ვერძის შოვნა. თუ მედია არ ყოფილიყო, იაზონი სიკვდილს ვერ გადურჩებოდა.

მედიამ მისცა იაზონს ერთი ხატი, ერთი გოგრა, სავსე რაღაცა ნოტიოთა, მწვანე ქვის ბეჭედი და ასწავლა როგორც უნდა მოეხმარა ესენი. ამათ შემწეობით იმან დაიპყრო ხარები, მოჰკლა დრაკონი, ამოაძრო კბილები და დათესა მარსის ჭალაკში. მერმე შეაბა ის ხარები ალმასის აჩეჩაში, და როცა დაიწყო ხვნა, მაშინ მიწიდგან ამოძრვნენ მრავალნი შეიარაღებულნი კაცნი; იაზონმა დასტოვა ხარები და მათ შუა გადააგდო ერთი უშველებელი; ამისაგამო ისინი ერთმანერთს შეებრძოლნენ და ამოწყვიტეს ურთიერთი.

ამის შემდეგ იაზონი მივიდა ოქროს მატყლოვანს ვერძთან, ჩამოხსნა ის ხიდგან, რომელზედაც ეკიდა, და სიხარულით წამოიღო.

ოტიას ძალიან ეწყინა, მაგრამ ვეღარაფერი სთქვა, რადგან იმან თვითონვე ნება მისცა იმის შოვნისა, და კვალად ძლიერ სახელოვანად ისტუმრა და გაუმასპინძლდა.

მაგრამ იაზონი და არღონატები მუხთლად მოიქცნენ. იმათ ერთ ღამეს მამისათვის შეუტყობინებლად აიყვანეს მედია და იმისი ძმა იაფისი და წავიდნენ საბერძნეთში.

ამ საქმეს მესამეთ ძლიერ ბევრი უბედურება შეუდგა, მაგრამ მე იმას ახლა აღარ განვაგრძობ, რადგან განზრახვა მაქვს ამ მითის არაკად დაწერა, და ხალხისათვის ცალკე გამოცემა. ახლა კი ამ მოთხრობის დასასკვნელად მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ის ამტკიცებს ამ დროინდელი ქართველების სიმდიდრეს და აღყვავებულად ყოფა-ცხოვრებას; ამტკიცებს, რომ ქართველებს ყოველს სამამასახლისოში ჰქონდათ ხაზინა, ძლიერის ყარაულებით გარემოცული და ერთი ამგვარ ხაზინათაგანი გაცარცვეს არღონატებმა და გაიქცნენ. მით უფრო უმეტეს ნამდვილია ეს აზრი, რომ მსწავლულების სიტყვით ეს არღონატები იყვნენ ვაჭრები და ისინი ცხვრის მატყლოანი ტყავის რიონის ფსკერში ჩაგებით ოქროს ქვიშას აგროვებდნენ და მიჰქონდათ საბერძნეთშიო. ამისათვის მე ვფიქრობ, რომ ერთი ამგვარად ოქროს ქვიშით გამოტენილი ცხვრის ტყავი ხელოვნურად იყო შებიცქული და მატყლის ფოჩებზე თხილის ოდენად გაკეთებული გრგვალი ოქროები ეკიდა. ის იყო მშვენიერი სანახავი და უძვირფასესი. აი სწორედ ამგვარი იყო ის ოქროს მატყლოვანი ვერძი და ის მოიტაცეს ბერძნების ვაჭრებმა, რომელთაც სახელად არგონატები ერქოთ. ეს მით უმეტეს უფრო მართალია, რომ არგონატები პირველად ოტია ანუ აეტა მამასახლისთან მოვიდნენ და იმას მოსტაცეს. საქართველოში უწინ ასეთი ჩვეულება იყო, რომ თუ მოვიდოდა ვინმე უცხო ვაჭარი, ჯერ მეფესთან, და თუ მეფე არ იქნებოდა, იმ ქვეყნის წარჩინებულთან ივაჭრებდა, მერმე ხალხშიაც გაიდოდა. 1860 წელს გამოცემულს „ვეფხვის ტყაოსნის 138 კაბადონზე რუსთაველი აი რას ამბობს:

„რა შემოვლენ დიდ-ვაჭარნი, მას (უსენს)
ნახვენ და ძღვენსა ჰძღვნიან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შჩვენებენ რაცა ჰქონდესთ, სხვაგან ლარსა ვერ გახსნიან,
შტურფესთა სეფად დასხმენ, ფასსა მუნვე დაუთვლიან
და მათ მაშინვე აახატებს, ვითა ჰსწადდესთ დაჰყიდიან.“

ამ სახით არგონავტებმა რომ იავა-ჰრეს იმერეთში და მოიტაცეს ოქროს მატყლოვანი ვერძი, მერმე ასწერეს ეს ქვეყანა და მას დაარქვეს კოლხიდა. რადგან ისინი ვაჭრობდნენ ძველს სენაკში და ის იყო ქალაქი, ამისათვის, სიტყვა ქალაქი იმათ შესცვალეს კოლხიდად და დაარქვეს იმერეთს კოლხიდა ანუ კალაკიდა. ამისათვის, როგორც ჰფიქრობენ მრავალნი, არა კოლხებს არ უცხოვრნიათ იმერეთში და არაოდეს არ სცოდნია ხალხ'ს სახელი კოლხიდა. უკეთუ ყოფილიყოს ეს წოდება, მაშინ რამე მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა იმას ან ქართულს ან მეგრულს ენაზე, როგორათაც საზოგადოთ არსებობს წესი ამ გვარი წოდების ახსნისა იმ ხალხის ენით, რომელიც იმის მიწა-წყალზე სცხოვრებენ.

ინგილო ჯანაშვილი

# ნარევი

პარიჟიდამ გვწერენ, რომ ამას წინათ იქაურს ერთს მინდორზე ხალხთა-შორისი დოღი ყოფილა, რომელზედაც ოცი ათასზე მეტი მაყურებლები დასწრებია. „ხალხთა-შორის დოღს“ იმიტომ ეძახიან, რომ ამ დღეს ყველა ქვეყნის ცხენებს აჭენებენ ხოლმე. წელს როგორც საზოგადოთ ყოველთვის, ყველაზე უფრო ბევრი ფრანცუზული და ინგლისური ცხენები ყოფილან დოღში. უჯობნია ფრანციზულს ცხენს, რომელსაც 100,000 ფრანკი (თითქმის 30,000 მანეთი) მიუღია საჩუქრათ (პრიზათ). ფრანცუზების თავმოყვარეობა ალტაცებაში მოუყვანია ამ გარემოებას და იქაურ ქუჩის ბიჭებს ძველებური სიმღერის მღერა დაუწყიათ: „ვერასოდეს ინგლისელი საფრანგეთში ვერ იმეფებსო!“

*
* *

ქალაქს კაზლოვში ერთს ახალგაზდა თვრამეტი წლის ქალს რევოლვერით თავი მოუკლავს. გამწარებულ მშობლებს იმის საწერ სტოლზე პატარა ნაჭერი ქაღალდი უნახავთ, რომელზედაც შემდეგი სიტყვები ეწერა:

„საზოგადოებისთვის გამოუდეგარი ადამიანი არავისთვის საჭირო არ არის. ამისთანა გამოუდეგარ სულდგმულად მიმაჩნდა მე ჩემი თავი და იმიტომ ვშორდები ამ ქვეყანას; ამიტომაც ჩემს სიკვდილს ტყვილა-უბრალოთ ნურვინ იბრალებს.“

*
* *

ის ბალნიანი კაცი და იმის შვილი, რომელიც ორმან წინ აღმოაჩინეს რუსეთში და საჩვე ებელად ატარებდნენ, ამჟამად პარიჟშია და „ძაღლ-კაცას“ ეძახიან. ერთის რუსისთვის შეეჩივლა იმას პარიჟში, რომ ვილაც ფრანცუზმა თვეში 20 მანეთად გვიქირავა მე და ჩემი ვაჟიო, ცუდათ გვინახავს, სასტიკად გვეპყრობაო; ძალიან მინდა ჩემს ქვეყანაში წავიდე, მაგრამ არ მიშვებენო.

*
* *

ერთს ამერიკელ გაზეთში შემდეგი განცხ დება დაბეჭდილი: „ფილოსოფიის პროფესორი, რომელიც ადრე ბოსტონის უნივერსიტეტში ღვთის-მეტყველების პროფესორად იყო და რომელმანც ჩინებულად იცის სანსკრიტული ლიტერატურა, პოლის მწმენდელის ანუ ხელზე მოსამსახურის (ლაქიის) ადგილს დაეძებს.“

*
* *

ლონდონის სიახლოვეს, „ბროლის სასახლეში“ ძაღლების გამოფენა არის ახლა, რომელზედაც 1,178 საუკეთესო სხვა-დასხვა ჯინშის ძაღლებია გამოფენილი. სხვათა შორის აქ არის ინგლისის ტახტის მემკვიდრის (უელსის პრინცის) ძაღლი, რომელიც 70,000 მანეთად ღირს თურმე.

* *
*

ავსტრიაში ერთი საზოგადოება შემგარა კიდევ ქალებისა, რომლის მიზანი არის, რომ შლეიფებანი (კუდიანი) კაბების ხმარება და საზოგადოთ, მდიდრული ტანისამოსის ჩაცმა გადააგდონ.

# განცხადებანი

მიუღს აიყვანოს მოსამზადებელად გიმნაზიის პროგრამმის შესაფერ. საგნებიდამ და ენებიდამ, ისეთი ყმაწვილები, რომელნიც ან ვაკაციების შემდეგ გიმნაზიაში შესვლას აპირებენ, ან გიმნაზიაში იმყოფებიან კიდეც და ან რომელთაც რომელიმე საგნიდამ, მიმავალი ვაკაციების (კანიკ.) შემდეგ, ხელმეორეთ დასაჭერი ეგზამენია აქვთ გარდადებული. — უფრო დაწვრილებით პირობებზე მოლაპარაკება პირის-პირ შეიძლება.

ადრესი იკითხეთ: ქუთაისს, უფ. ან. ლორთქიპანიძის ბიბლიოთეკაში.


ზარდანქეშან-ბაიარი.



ბეჭდვიდგან გამოვიდა და მომავალ კვირაში გაისყიდება

**პირველი კარი ყარამანიანისა,**

სპარსულიდგან ნათარგმნი ქართულს ენაზედ სალთხუცის და სარდლის თავადი დავით ორბელიანისაგან. საამოთ სასმენელი. ზოგიერთი სურათებით ყარამანისა, ზარდანქეშანისა და სხვ.

გამოცემული დავით ლაზარევისაგან და ნიკოლოზ კობალაძისაგან.

ფასი „პირველი კარისა“ ექვსი შაური (30 კაპ.)

გაისყიდება ჯერ-ჯერობით ტფილისს მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში.

იბეჭდება და მომავალ თვეებში გამოვა „მეორე კარი ყარამანიანისა.“



ორი მასწავლებელი ქუთაისის სასულიერო სასწავლებლისა და ერთი სტუდენტი მიიღებენ შაგირდებს ამ კანიკულებში სხვა და სხვა საგნებში მოსამზადებელად ეგზამენისათვის. აგრეთვე ამზადებენ ყმაწვილებს შესასვლელად სხვა და სხვა სასწავლებლებში.

პირობების შეტყობა შეუძლიანთ ზაქარია ჭიჭინაძესთან, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში.


რადგანაც დოქტორი თამამშევი ამთვის 21-ს სხვაგან მიემგზავრება, ამის გამო ავათმყოფების მიღება მხოლოთ ამ რიცხვამდი შეუძლიან თავის სახლში. ქალაქს გარეშე მცხოვრებნი ამ რიცხვის შემდეგ, ახალს გამოცხადებამდინ, არ უნდა მოვიდნენ ქალაქში თვალის აქიმ თამამშევთან.

## ტფილისის სამკურნალო

(4 აპრილის სახსოვრად)

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ ვიდრე 1 საათამდი

ორშაბათს: ექიმი მინკევიჩი — ხირურგიის, პარჟნიცკი — ყმაწვილების, ქალებისა და ვენერიული ავათმყოფებისათვის, ბ რალევიჩი და ლისიცევი — შინაგანი ავათმყოფობისა.

სამშაბათს: პარჟნიცკი — ყმაწვ, ქალებისა და ვენერიული ავათმყოფობისათვის

ხუთშაბათს: პარჟნიცკი ყმაწ., ქალებისა და ვინერიული ავათმყოფობისა. მარკაროვი და ლისიცევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: მინკევიჩი — ხირურგიისა, პარჟნიცკი — ყმაწვ., ქალებს და ვენერ. ავათმყოფი, ლისიცევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

შაბათს: მარკაროვი და ლისეცევი შინაგანი ავათმყოფობისათვის.

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი . | 8 | 18 | 8 | 17 | | | | |
| მცხეთა. . . | 9 | 18 | 10 | — | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 39 | 1 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| სურამი . . | 1 | 52 | 4 | 30 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბეჟათუბანი | 3 | 45 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 6 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი. . | 7 | 55 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 9 | 2 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | 10 | | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 11 | | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 7 | 38 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | 9 | 11 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 10 | 12 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი . | 11 | 17 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილნ. . | 12 | 38 | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბეჟათუბანი | 3 | 27 | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| სურამი . . | 4 | 57 | 12 | 30 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 23 | 3 | 31 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | 9 | 52 | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| ტფილისი | 10 | 49 | 8 | 2 | 9 | 75 | 5 | 42 |

## ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:
ოდესისკენ — ორშაბ. დილის 8 საათ
სტამბოლს — კვირაობით დილას.
ბ) სოხუმიდამ:
ფოთს — სამშაბათს, ღამით.
ოდესას — კვირას, გათენებისას.

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი . | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი. . | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი. | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა ტფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . . | 3 | 75 |

## ფოშტა

ა) ტფილისიდამ:
სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს — სამშ. და შაბ.
ბ) ქუთაისიდამ:
ტფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.
გ) გორიდამ.
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.
დ) ფოთიდამ:
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . | 5 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 10 |

## ბირჟა

| პეტერბურგი, 14 ივნისს. | მან. | კაპ |
|---|---|---|
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში $33^{7}_{8}$ პენსი. | — | 84 |
| პარიჟში 347 1/4 სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 6 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 99 | 75 |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 212 | 25 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 207 | 25 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| ტფილ. საადგ. ბანკისა. | | |
| ხერსონის ბანკის (5 1/2) | 87 | — |
| მოსკოვის (5%). . . . | 86 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის. | 212 | — |
| ფოთი ტფილ რკინ. გზის | 133 | — |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 560 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 168 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 665 | — |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 263 | — |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 257 | 65 |

## ბაზარდა

| ტფილისი, 17 ივნისს | მან | კაპ |
|---|---|---|
| პური შორაგალის ფთ. | 1 | 10 |
| ქერი ფუთი. . . . | — | 60 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 4 | 50 |
| — ამერიკისა, ფუთი. . | 6 | 40 |
| გაპინტილი ბამბა ფთ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ . | 6 | 50 |
| — თარაქამისა ფთ. . | 3 | 60 |
| აბრეშუმი ნუხური გრ. | 2 | 60 |
| ქონი, ფუთი. . . | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 10 | 20 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 65 |
| — ცხვრისა, ლიტრა. . | — | 75 |
| სპირტი, ვედრო. . . | 7 | — |
| შაქარი, კარგი ფუთი . | 8 | 40 |
| — ფხვნილი ფუთი . . | 6 | 90 |
| ყავა გრგვალი ფუთი . | 19 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 6 | — |
| ოქრო 1/2 იმპერიალი. . | 5 | 94 |

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Іюня 1875 г. Типографія Меликова и К°.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.